www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2018

II კვარტალი

03.09.2018

www.geostat.ge

3.09.2018

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2018 წლის II კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,7 პროცენტით გაიზარდა და 19,9 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 10,0 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 12,7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2018 წლის II კვარტალში მთლიანი ბრუნვის 43,6 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 23,7 პროცენტი - საშუალო, ხოლო 32,8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41,2 პროცენტი, საშუალოზე - 25,2 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33,6 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2018 წლის II კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის II კვარტალში 13,8 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,8 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 8,5 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,6 პროცენტით მეტი).

2018 წლის II კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 656,5 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4,0 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 41,0 პროცენტი ქალია, ხოლო 59,0 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36,8 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22,0 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41,2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 621,4 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3,9 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2159,8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,2 პროცენტით მეტი).

2018 წლის II კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1150,4 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 43,5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 872,8 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 56,5 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1210,3 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1303,2 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 996,3 ლარი.

2018 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 44,6 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 11,9 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 11,9 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8,8 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება 6,2 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 3,6 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 12,9 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2018 წელი II კვარტალი



2018 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (22,9 პროცენტი) და მშენებლობა (18,7 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16,8 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,4 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 32,2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

**ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა,
2018 წელი II კვარტალი**



2018 წლის II კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25,3 პროცენტი, 13,2 პროცენტი და 10,5 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (10,4 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8,1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5,4 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2018 წლის II კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	16640.0	19922.7	119.7
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	102.2	107.9	105.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	150.6	196.6	130.5
დამამუშავებელი მრეწველობა	2064.1	2376.5	115.1
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	610.1	711.2	116.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	57.7	64.6	111.9
მშენებლობა	1685.4	1761.6	104.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	7638.3	8887.6	116.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	1047.4	1244.1	118.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	373.4	429.4	115.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	171.1	194.1	113.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	202.3	235.2	116.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	412.6	424.0	102.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	249.8	289.7	116.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	323.9	348.5	107.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	267.4	299.9	112.2
განათლება	89.5	99.4	111.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	244.4	265.1	108.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1289.8	2379.0	184.4
სხვა სახის მომსახურება	33.0	37.5	113.5

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2018 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	8900.0	10032.2	112.7
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	97.5	103.0	105.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	150.1	196.9	131.2
დამამუშავებელი მრეწველობა	1935.1	2301.0	118.9
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	318.9	388.2	121.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	58.8	73.2	124.4
მშენებლობა	1865.1	1873.1	100.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1503.9	1682.7	111.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	821.9	941.9	114.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	373.8	434.9	116.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	171.8	199.9	116.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	202.0	235.0	116.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	360.0	371.0	103.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	253.3	293.0	115.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	252.5	289.0	114.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	173.1	207.5	119.9
განათლება	96.7	104.7	108.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	399.4	427.9	107.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	207.3	307.6	148.4
სხვა სახის მომსახურება	32.4	36.5	112.7

3.09.2018

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის II კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2017 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტალი	2018 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	631316	656526	104.0
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11375	11454	100.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	7464	8665	116.1
დამამუშავებელი მრეწველობა	86304	86648	100.4
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14822	14804	99.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14136	14415	102.0
მშენებლობა	68915	68794	99.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	157777	165909	105.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	50945	53472	105.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	32761	35644	108.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12650	13733	108.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	20110	21911	109.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	19833	20955	105.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	16613	17657	106.3
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	19336	21076	109.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	21368	21649	101.3
განათლება	23473	23810	101.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	65474	68526	104.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	12855	14825	115.3
სხვა სახის მომსახურება	7866	8223	104.5

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 72.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი,
- იმერეთი – 4.8 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 65.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.0 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.5 პროცენტი,
- იმერეთი – 6.0 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.6 პროცენტი,
- იმერეთი – 6.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.7 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	**„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“**
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge